№ 202

კვირა, 17 სექტემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მ. | კ. | თვე | მ. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 6 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 202

კვირა, 17 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქვრივი ნატალია დავითის ასული მამაცაშვილისა უღრმესს მადლობასა სწირავს ყველა იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც თვისი სამძიმარი გამოუცხადეს მისის ქმრის გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის გარდაცვალებისა გამო. (1—6.—1)

გამოვიდა და იყიდება მმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

## ჩანგი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა; 2) „დაძმა“; ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“. 4) „დაკეტილ კარებთან“. 5) „ავაზაკები“, შილლერისა და „შეშლილის წერილები“, გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

## რვეულები

საუკეთესო ღირსებისა და სხვა-და-სხვა ფერისა (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავათ ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—1)

გამგეობა 1827 წ. დაარსებულ რუსეთის პირველ

## დამზღვევ საზოგადოებისა

აუწყებს ყველას, რომ სოლომონ ავეტის ძე ყაზაროვი ამ საზოგადოების აგენტად აღარ იმყოფება. ამ ჟამად ქ. ტფილისში დაარსებულია მთავარი სააგენტო ტფილისისა, ერევნისა, განჯის გუბერნიისა და ყარსის ოლქისათვის, რომელსაც განაგებს გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილი; ყარანგოზიშვილს საზოგადოების გამგეობის მიერ მინდობილი აქვს:

1) დაიზღვიოს ცეცხლის წინააღმდეგ ყოველგვარი ქონება და

2) დააზღვიოს აგრეთვე ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან, სახელდობრ:

ა) უბედურ შემთხვევისაგან ერთობლივი დაზღვევა მუშებისა და მსახურთა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა სამრეწველოებში;

ბ) დაზღვევა ყოველგვარ კერძო ადამიანებისა უბედურ შემთხვევისაგან, პრემიის უკან დაბრუნებითა და დაუბრუნებლივა და

გ) დაზღვევა მგზავრებისა რკინის გზებსა და წყალში მოსალოდნელ უბედურებისაგან; ამ შემთხვევაში პრემია მხოლოდ ერთხელ უნდა იქმნეს გაღებული, თითონ დაზღვევის დროს.

მთავარ სააგენტოს სადგომი ქ. ტფილისში სოლოლაკისა და სერგიევსკის ქ. კუთხეში, მირზოევის სახლი № 1. (3—170—5)

## სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(10—178—3

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფებითა და ნაჭრობით.

(50—6.—22) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## მკურნალი

ი. დ. ბეგთაბეგოვი

დაბრუნდა ტფილისში.

## კანტორა

ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—13)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ვ. გ. წერეთელი—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე მამაცაშვილის გარდაცვალების შესახებ დეპეშით გვწერენ იურიევიდგან:

„გთხოვთ, ჩვენი მწუხარებაც შეუერთოთ ქართველთა საერთო წუხილს, ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრების პროგრესის ერთის პიონერთაგანის დაკარგვით გამოწვეულს. დიდს სამძიმარს ვუცხადებთ დაუვიწყარ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის ოჯახობას. ქართველი სტუდენტები“.

*** როგორც განჯიდგან იტყობინებიან, 14 სექტემბერს იქ დედათა პროგიმნაზიისათვის ახლად აშენებული სახლი უკურთხებიათ.

*** როგორც გამოცდილებამ უჩვენა სოფლის მემამულეებს, შავის ზღვის პირად ზამთარში და გაზაფხულზედ ადრე მწვანილი და ზოგიერთი სხვა ხილი ულეველად მოდის. ამის-და მიუხედავად მთელი რუსეთი მწვანილსაცა და ამ ხილეულსაც ან საზღვარ-გარეთიდგან ეზიდება ამ დროს, ან-და ორანჟერეებში მოჰყავთ. ამ ჟამად მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და შუამდგომლობა აღუძრავს, რომ შავის ზღვის პირის მემამულეთ ნება მიეცეთ მწვანილი სამგზავრო მატარებლებითა ჰგზავნონ ხოლმე პეტერბურგსა და მოსკოვში.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მომავალ 1901 წ. სამეურნეო გამოფენისათვის პროგრამის სამხატვრო განყოფილების შემუშავება და თვით განყოფილების გამოფენაზედ მოწყობა-მომართვის საქმე ჩვენს ცნობილს მხატვარს ბ-ნს გაბაშვილს მიანდო.

*** ქალაქის გამგეობამ განიხილა იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვარ-საყოფელად პროექტის შედგენა-შემუშავების საქმე, და დადგინა: 1) დაწესებულ იქმნას ტფილისში უსასყიდლო თავ-შესაფარი მშობიარეთათვის 20 საწოლით, ყოველ წლობით გადაიდოს ამისათვის 7,200 მან. 2) დაარსდეს 4 ახალი პირველ-დასაწყისი სკოლა—2 სავაჟო და 2-ც საქალებო ისე, რომ მომავალ 1901 წლიდგან ყოველ წლობით გაიხსნას თითო სკოლა; 3) გააშენონ ქალაქის სახლის წინ ერევნის მოედანზედ ბაღჩა შადრევანით ისეკი, რომ შადრევანს ქანდაკება ამშვენებდეს და ეს ქანდაკება საქართველოს რუსეთთან შეერთებას აღნიშნავდეს. ამისათვის უნდა გადადებულ იქმნას 8,000 მან., 4) მიიღონ მონაწილეობა კავკასიის საიმპერატორო, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, სადაც ცალკე განყოფილება გაჰმართოს ქალაქმა იმისი, თუ რა წარმატება დაეტყო ტფილისს ამ 100 წლის განმავლობაში; 5) დაარსებულ იქმნას სტიპენდია პეტერბურგის საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში. ეს სტიპენდიები მიეცემა ქალაქის მცხოვრებელთა იმ ქალებს, რომელნიც ტფილისის საშუალო სასწავლებლებში დაასრულებენ სწავლას. თითოეული სტიპენდია წელიწადში 360 მანეთიანი იქნება.

*** ქუთაისიდგან იწერებიან, რომ შავი-ქვის მრეწველთა უკანასკნელმა კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, რომ კრების საბჭოს სადგომი ქუთაისიდგან ჭიათურაში იქმნას გადატანილი.

*** ქუთაისის საბჭოს პირველი კრება ზაფხულის შემდეგ 4 სექტემბერს იყო დანიშნული, მაგრამ არ შესდგა, რადგანაც არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა. მეორე კრება დაინიშნა 11 სექტემბერს, მაგრამ ვერც ეს შესდგა, რადგანაც კანონიერს რიცხვს ერთი ხმოსანი დააკლდა. ამის გამო, კანონის ძალით, ამ კრებისათვის დანიშნული საქმეები გარდასაწყვეტად საგუბერნიო მმართველობას გადაეცემა.

ბარაქალა ქუთაისის ხმოსნების ბეჯითობასა და საზოგადო საქმისადმი გულმტკივნეულობას!

*** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ უწმ. სი-

ნოდს $3\frac{1}{2}$ მილიონი მან. დამატებითი კრედიტი მიეცეს პირველ და წყებით სწავლის გაძლიერებისათვის.

*** ერთს ადგილობრივს ფულის პატრონს ტფილისი'ს ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეუტანია, ნება მომეცით ავლაბარში ციციანოვის აღმართზედ ფუნიკულერი გავაკეთოო.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის შეძლებულ ვაჭართ განუზრახავთ შეადგინონ ნავთის მწარმოებელი სავაჭრო-სააქციონერო საზოგადოება. საზოგადოებას ძირის თანხად 500,000 მან. ექმნება. თითო აქცია 100 მან. ეღირება. დამაარსებელთ 24 სექტემბერს ექმნებათ კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება წესდების პროექტი.

## იმერთა მიმართ

ღვთის განგებითა და განკარგულებით განსვენებულის მღვდელ-მთავრის გაბრიელის ადგილზედ დაინიშნა ახალი მწყემს-მთავარი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდი. ეს ამბავი, რასაკვირველია, ყველასათვის სასიამოვნოა, ვისაც-კი ჩვენის ერისა და ეკკლესიის ბედნიერება ენატრება.

ყოვლად სამღვდელო ბესარიონის გადაცვალების შემდეგ ყველა ჭეშმარიტი ქართველი გულის ფანცქალით მოელოდა ამ ღირსეულის მწყემს-მთავრის დანიშვნას ქუთათლების ადგილზედ; დღეს, რადგანაც მოლოდინიც გაგვიმართლდა, უეჭველია ჩვენთან ერთად ყველანი მიულოცვენ იმერეთის სამწყსოს ამ სასიხარულო ამბავს. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ისიც ვინატროთ, რომ სამწყსომ ღირსეულად დააფასოს თავისი ახალი ძვირფასი მწყემს-მთავარი, კეთილად გამოიყენოს მისი მომავალი ღვაწლი და გაუადვილოს ის ეკლიანი გზა, რომელზედაც ისოდენი იღვაწა და იტანჯა ღირს-სახსოვარმა განსვენებულმა გაბრიელმა.

ამას მისთვის ვამბობთ, რომ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ, საზოგადოდ, მრავალი ნაკლულევანება გვაქვს, რომელიც ხშირად ხელს უშლის ყველა საზოგადოდ კეთილ მოღვაწეს. ვინ არ იცის, რა სამწუხარო სურათს წარმოადგენდა იმერეთის ეპარქია იმ დროს, როცა განსვენებულ გაბრიელს ჩააბარეს ეს სამწყსო, და ვის ძალ-უძს ჩამოთვალოს ყველა ის დაბრკოლება, რომელიც წინ გადაეღობა მის ყოვლად პატიოსანსა და თავ-განწირულს მოღვაწეობას. მადლობისა და დახმარების ნაცვლად, მას წინ დახვდა: უმადურობა, უკმაყოფილება, მტრობაც-კი და სხვა, მაგრამ, სწორედ, წამებულმა მღვდელ-მთავარმა ეს ყოველ გვარი უთვალავი დაბრკოლება დასძლია, გული არ აიყარა თვისს სამწყსოზე, სიკვდილამდე იბრძოლა სიტყვითა და საქმით და, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო ხორციელ არსებისათვის, ნაყოფიერად იღვაწა, ვიდრე არ მოუძლურდა და სული არ განუტევა. ხომ ბევრი იღვაწა და მრავალი ნაყოფიც მოგვცა, მაგრამ, უეჭველია, მისი შრომა და ღვაწლი კიდევ ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, იმდენი დაბრკოლება რომ არ გადაღობებოდა წინ.

ახალის მწყემს მთავრისთვის ეხლა, რასაკვირველია, ისე ძნელი აღარ არის იმერეთის ეპარქიაში მოღვაწეობა, რადგანაც ბევრი რამ არის გაკეთებული განსვენებულ გაბრიელის მიერ.

ჩვენ ყოველსავე ამას ვამბობთ მისთვის, რომ სულითა და გულით გვსურს იმერეთის ნიჭიერ ქართველებისათვის ყოველგვარი სიკეთე და წარმატება. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი სიტყვა საწყენად არავის არ დარჩება.

გიორგი იოსელიანი

## წერილი ქუთაისიდგან

ოთხშაბათს, 11 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ ივანოვის ქუჩაზედ პატარა ომი მოხდა ხუთ ექვს შეიარაღებულ ახალგაზდასა და მეეტლეს შორის ეს უმაწვილები სადღაც ქორწილში ყოფილიყვნენ და კარგა გადაკვრის შემდეგ ორი ეტლი მოეთხოვათ, ჩამსხდარიყვნენ და წამოსულიყვნენ. შექეიფიანებულებს დიდს ხანს ესეირნათ ეტლებით ქუჩებში და ბოლოს მოსულიყვნენ ივანოვის ქუჩაში, სადაც სცხოვრობენ ეს უმაწვილები. აქ გააჩერეს თურმე ეტლები, გადმოხტნენ და მეეტლეებს გასტუმრებას უპირობდნენ. ერთს მეეტლეს მისცეს სამი აბაზი და ამითი მოიცილეს თავიდგან, მაგრამ მეორეს-კი შავი დღე დააყენეს: ამ საწყალს ორი აბაზი შესძლიეს და, როდესაც მეეტლემ უთხრა, რომ მეტი ერგებოდა საათ ნახევრის სეირნობისთვის, მაშინ თვითეულმა მოსეირნეთაგანმა თითო-თითო ქიშტი შესთავაზა და თან წიხლებიც ჩააყოლეს. მეეტლე შეხვეწოდა მოქეიფეებს, რას მერჩით, არც ფულს მაძლევთ და კიდევაც მცემთ, ეს რა უბედურებააო, მაგრამ გმირები ყურს არ უგდებდნენ მისს ლაპარაკსა და გაჰქონდა ბრაგა-ბრუგი მუშტებს. მეეტლემ რომ ნახა, ესენი აღარა ხუმრობენო, უცებ კაბა გადიძრო, საიდგანღაც დანა ამოიძრო, გაექანა და ორი გმირთაგანი-კი დასჩრა. ეხლა-კი შეიქნა ხანჯლების ტრიალი: მოქეიფეები მისცვივდნენ მეეტლეს და, ვინ რითი სცემდა, აღარ იცოდნენ. ამ ყვირილზედ ხალხი მოგროვდა, მაგრამ მიშველება ვერავინ გაჰბედა, რადგანაც ხანჯლის ტრიალს დასასრული არ ეძლეოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაბეჟილი და ხანჯლით თავსა და კისერში მძიმედ დაჩრილი მეეტლე, როგორც იყო, ხელიდგან დაუძვრა მეომრებსა და გაიქცა, მაგრამ ფეხზედ დგომა ვეღარ შესძლო და იქვე დობეზედ მიეგდო. მოხუზრების მხრიდგანაც ორი აღმოჩნდა დაჩრილი: ერთი დერციკი მ—ტონ გ—ვა მუცელში (ვგონებ სასიკვდილოდ) და მეორე მეჩექმე კ—ვა ბარძაყში. ესენი ორივენი წაიქცნენ და ხალხიც მათ შემოეხვია. ამ დროს დანარჩენმა გმირებმა დობეზედ მიყუდებული მეეტლე მოსძებნეს და კიდევ დაუწყეს ცემა ჯოხებით. მეეტლემ ეხლა-კი ვეღარ შესძლო ფეხზედ დგომა და იქვე მიწაზედ გაიშხლართა. მაგრამ აქაც როდი მოუსვენეს გაშმაგებულმა მეომრებმა: ხან ერთი სცემდა, ხან მეორე და თან ჰყვიროდნენ: „მოკვდი, უნდა მოგკლათო“. ერთმა მათგანმა სისხლში მოტივტივე ბულს მეეტლეს აუწია თავი და წადის წვერი ამოჰკრა ცხვირში. ერთი სიტყვით, მაყურებლის თვალ-წინ ისეთი შემაძრწუნებელი სურათი იყო, რომ ადამიანი სიბრალულით თვალს ვერ გაუსწორებდა. შეგროვილი ხალხი ყვიროდა: უშველეთ, უშველეთო, მაგრამ მშველელი არსად იყო. ქალი, კაცი, დიდი და პატარა საშინელი ხმით გაჰყვიროდა: „პოლიცია, გოროდოვოიო“, მაგრამ ეს ქალაქის სიმშვიდის დამცველნი არსადა სჩანდნენ. ბოლოს ორი დაჩრილთაგანი გ—ვა და კ—ვა ომის ველიდგან ხმაურობაზედ მოსულმა ჭირისუფლებმა წაათრიეს ცოცხალ-მკვდარი; მეეტლე არტემ სარუხანოვი-კი თავისს სისხლში სცურავდა და მშველელი-კი არავინ ჰყავდა. რამდენისამე წუთის შემდეგ მთელმა ქუჩის მცხოვრებლებმა აქ მოიყარა თავი, და მხოლოდ ახლა-და შეატყობინა პოლიციას ვიღაც მანდილოსანმა. მოვიდნენ ბოქაული, მისი თანაშემწე, პოლიციის კაცები და ბოლოს თვით პოლიცმეისტერიც და მისი თანაშემწეც, მაგრამ გვიანღა იყო. ომი გათავებული იყო და ომის ველზედ მხოლოდ მძიმედ დაჩრილი ცოცხალ-მკვდარი არტემ სარუხანოვი-და ეგდო თავის სისხლში და მის გარშემო შეგროვილი ხალხი-კი ჭორაობდა. პოლიციის მოხელეებმა, რასაკვირველია, განკარგულება მოახდინეს, მკურნალი დაიბარეს და რიგისამებრ ოქმისთვის საჭირო მასალა შეჰკრიბეს. არტემ სარუხანოვი ბოლოს ეტლით საავადმყოფოში გაგზავნეს. ეს ამოდენა ომი მოხდა რაღაც ერთი აბაზისთვის!..

ს. რ.

P. S. დღეს დილით, 12 სექტემბერს, შევიტყე, რომ მეეტლე არტემ სარუხანოვი და დაჩრილი მელიტონ გაბილავა ორივე გარდაიცვალნენ.

ს. რ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოზურგეთი. 10 ამ სექტემბერს, კვირას, ოზურგეთის საკრებულო ეკკლესიაში ჰგალობდა გასათხოვარ ქალთა გუნდი ეკკლესიის მედავითნის ბ-ნ ისააკ საბაშვილის ლოტბარობით. სულ ოცი დღე არაა, რაც ბ-ნ საბაშვილმა მეცადინეობა დაიწყო და აი ამ ოცი დღის შემდეგ ეკკლესიაში ვხედავთ მგალობელს ქალებს, რომლებმაც საუცხოვოდ შეასრულეს პირველი და მეორე ხმები, ხოლო თვითონ ბ-ნ საბაშვილმა—ბანი. გასაკვირველი ის არის, რომ ამ მოკლე დროს განმავლობაში მოასწრეს თითქმის მთელი წირვის წესის დასწავლა. ამ დღეს ეკკლესიაში ისეთს ხალხს ნახავდით, რომლებსაც, როგორც ჩვენში იტყვიან: „ქუდი რომ შეუგდო ეკკლესიაში, გამოსატანად არ შევა“; აი ამნაირი ხალხით იყო სულ სავსე ეკკლესია და მთელს ეკკლესიაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რომელიც იშვიათია გურიის ეკკლესიებში. აღნიშნული გალობა ქართლ-კახურ კილოზედ დაუსწავლებია ბ-ნ საბაშვილს და მშვენიერი სულისა და გულის დამატკბობელი სასმენელიც ყოფილა, ნამეტნავად ქალების ხმით. მცირედი ნაკლულევანებაც ემჩნეოდათ, ე. ი. ისე გაბედვით ვერა ჰგალობდნენ, როგორც კახური გალობა

# ფელეტონი

## თვით-მკვლელობა

გადაათვალიერეთ რამდენიმე ყოველ-დღიური გაზეთი და იშვიათად იქნება, რომ არ წააწყდეთ შემდეგ ამბავს: ამა და ამ კაცმა რევოლვერით თავი მოიკლა, ამან და ამან თავი ჩამოირჩო, ესა და ეს წყალში გადავარდა და გამოესალმა წუთისოფელსაო. ამ გვარ ამბებს ხშირად იმასაც უმატებენ, თუ რამ აიძულა თავის-მკვლელი, ეს არა-ჩვეულებრივი და ბუნების წინააღმდეგი საქციელი ჩაედინა: ერთს თურმე ისე მოსწყენია სიცოცხლე, ისე დახლართულა მისი საქმეები, ისეთი უილბლო და უბედო გამოსულა, რომ, დიდის მოთმინებისა და ბრძოლის შემდეგ, გადაუწყვეტია თითონ თავის ხელით გამოეტაცა თავი ცხოვრების ულმობელ კლანჭებიდგან და სამუდამო დავიწყებას მისცემოდა ცივს სამარეში; მეორესთვის საყვარელ არსებას უღალატნია,—იმ არსებას, რომელზედაც ამოსდიოდა თურმე მზე და მთვარე, რომელიც ღმერთად ჰყავდა დასახული და თითქმის ღვთაებრივ თაყვანსა სცემდა და რომელიც მას ეფიცებოდა, არწმუნებდა, შენი ერთგული, შენი თანამგრძნობელი ვარ და მიყვარხარო. ამ გარემოებამ დაუკარგა ყოველივე რწმენა ადამიანის კეთილ სინიდისიერების, პატიოსნებისა და ხელიდგან გამოაცალა საგანი ცხოვრებისა. ამ გრძნობათა ზედ-გავლენით მოისპო უიმედო, ობოლი სიცოცხლე...

მესამეს თურმე საზოგადოდ მოჰბეზრებია სიცოცხლე: წინად უნდოდა ემოქმედნა, ცხოვრებას გამკლავებოდა, კეთილი ეთესა და მოძმეთათვის ცხოვრების მძიმე ტვირთი შეემსუბუქებინა, უნდოდა შრომითა და მეცადინეობით მეცნიერება შეეთვისებინა და ფიქრ-აზროვნებით ზოგიერთ მსოფლიო საკითხის ახსნა-პასუხი მოეძებნა, ჰსურდა გაეგო, თუ რა არის ადამიანი; რა აზრი აქვს იმისს ცხოვრებას და რა ბოლო მოელის... და აი, ვერსაიდგან და ვერაფრით ვერ დაიკმაყოფილა სურვილი: ცხოვრებამ დასძლია, მას იგი ვერ გაუმკლავდა; კეთილი მხოლოდ სურდა დაეთესა, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა; მოძმეთ ცხოვრების ტვირთი ვერ შეუმსუბუქა; მეცნიერება თუმცა შეითვისა, მაგრამ დაინახა, რომ ის ჯერ უსუსურია, რომ მეათედსაც ვერ ასრულებს იმას, რასაც კაცობრიობას ჰპირდება; მისი გონება-აზროვნება ძლიერ სუსტი და შემოფარგლული გამოდგა, რომ მსოფლიო კითხვების პასუხი მოეძებნა და უცნობ-გაუგებარის ფარდა ცოტად აეხადა... ამნაირად მან იგრძნო ამაოება და უაზრობა ცხოვრებისა და ერთ მშვენიერს დღეს წამოიძახა: „სიცოცხლევ, ფუჭო, უაზრო ნიჭო, რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა“-ო და ამ მისის აზრით უაზრო ნიჭს თავის ხელითვე მოუღო ბოლო...

ვინ მოსთვლის, თუ რა სხვა და-სხვა გარემოება გამხდარა მიზეზად თვით-მკვლელობისა! მაგრამ ამ მიზეზთა სხვა-და-სხვაობაში, თუ-კი დაუკვირდებით, მხოლოდ რამდენსამე მთავარ მიზეზს შევნიშნავთ. სხვა წვრილმანი გარემოებანი ამ უმთავრეს მიზეზებს გარს შემოჰხვევია, მისგან იღებს ელფერსა და ძალ-ღონეს...

მეტად ძლიერი უნდა იყოს ეს მიზეზები, რომ ადამიანი იძულებულ იყოს ჩაიკლას გულში ალღო თავის დაცვისა და სურვილი სიცოცხლისა! მაგრამ ვიდრე თვით-მკვლელობის მიზეზებს დავასახელებდეთ, ჩვენის აზრით საჭიროა ვიკითხოთ და გამოვარკვიოთ: რა გვარს სულიერს მდგომარეობაში იმყოფება თავის მკვლელი იმ დროს, როდესაც სიცოცხლეს ისპობს?

ეს საკითხნი ძნელი პასუხ-გასაცემია და თუ როდისმე აიხსნა, რასაკვირველია, მარტო ფსიხიატრიის წყალობით არ აიხსნება. ფსიხიატრების მომეტებული ნაწილი, განსაკუთრებით რუსეთისა, *) დარწმუნებულნი არიან, რომ თავის მკვლელი უსათუოდ ჭკუაზედ იშლება და ასეთს მდგომარეობაში ისპობს სიცოცხლესაო. მაგრამ ეს აზრი საბუთიანი არ არის.

**) პროფ. გვოზდევი: „О самоубійствѣ съ соціальной и медицинской точекъ зрѣнія“. Казань, 1889 г.

უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ფსიხიატრები მომეტებულ შემთხვევაში იკვლევენ თვით-მკვლელობის მიზეზებს სულით ავადმყოფებისას და არა კარგად მყოფებისას. სულით ავადმყოფობასა და თვით-მკვლელობას შუა დიდი განსხვავებაა, დიდი მანძილია. ამას ამტკიცებს სტატისტიკური ცნობები.

უკანასკნელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში თუ შეშლილობამ მხოლოდ რამდენისამე პროცენტით იმატა, თვით-მკვლელობა შედარებით უფრო ძლიერ გახშირდა. რიცხვი თვით-მკვლელობისა ორივ სქესის ადამიანთა შორის ძალიან სხვა-და-სხვაობს: თვით-მკვლელ კაცთა რიცხვი ერთი ხუთად მეტი არის თვით-მკვლელ ქალებისაზედ. **) ზოგიერთ ფსიხიატრების თეორიით-კი, რომლებიც თვითმკვლელობას შეშლილობის შედეგად სთვლიან,—რიცხვი თვით-მკვლელობისა ქალთა შორის იმდენი უნდა იყოს, რამდენიც კაცთა შორის, რადგანაც შეშლილობა ქალებ და კაცებ შორის თითქმის თანასწორია. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ასე არ არის...

**) ლიხაჩევი: „Самоубійство въ зап. Европѣ и Россіи“, 1882 г,

ებრაელებ შორის სულით ავადმყოფნი მეტნი არიან, თავის მკვლელნი-კი ნაკლებნი, ვიდრე კათოლიკეთა და პროტესტანტებს შორის. ***) ახლა დავუბრუნდეთ იმის ახსნას, თუ რა მთავარი მიზეზები იწვევს თვით-მკვლელობას.

ზოგიერთნი თვით-მკვლელობის მიზეზად, სხვათა შორის, ასახელებენ ალკოჰოლიზმს და მემკვიდრეობით თანდაყოლილ სულიერ აგებულებას. არც პირველი და არც მეორე არ ჩაითვლება თვით-მკვლელობის უმთავრეს მიზეზებად. როგორც ვიცით, თვით-მკვლელობა უფრო გავრცელებულია შეძლებულ და კულტურულ წრეებში, სადაც ალკოჰოლიზმი ნაკლებად მძვინვარებს. რასაკვირველია, ალკოჰოლიზმი თავის თავად უმზადებს ნიადაგს, ხელს უწყობს თვით-მკვლელობას, მაგრამ უმთავრესი მიზეზი-კი არ არის.

მემკვიდრეობაც ძლიერ ნაკლებ როლს თამაშობს თვით-მკვლელობაში; ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ რიცხვი თვითმკვლელობისა ქალთა შორის დიდად ნაკლებია, ვიდრე კაცთა შორის. ამას გარდა თვით მკვლელთა რიცხვი შესამჩნევია დიდებ შორის (თვით-მკვლელი ბავშვები თითქმის სრულიად არ არიან) და იზ-

***) დიურკგეიმი — „Вопросы фил—фіи и псих—гіи“ 1898 г. кн. 44-ая,

…ითხოვს, მაგრამ ეს უნდა იმითი …ხსნათ, რომ პირველია მათთვის ეპპ…სიაში გალობა და შეკრთნენ, რადგა…ც აუარებელი ხალხი დაესწრო.

იმედია, ბ-ნი საბაშვილი უფრო ენერ…ით მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს და …მდეგში იმ ორ-სამ საგალობელს, …რომელიც დღეს ბეჯითად არ იცოდნენ, …კარგად შეასწავლის და შემდეგისათვი…საც აგალობებს; ეს მეორე მაგალითი …ქმნება გურიაში, რომელსაც, იმედია …სხვებიც მიჰბაძვენ.

აგრეთვე სასურველია, რომ ბ-მა ისაკ …საბაშვილმა გურული გალობაც შეასწავ…ოს მგალობლებსა და მით ქართულ …როვნულ კილოთა რიცხვი გაუმდიდროს …უნდსა.

ლამსწრე

---

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** გერმანიის ფელდმარშალი …გრაფი ვალდერზეე უკვე მივიდა შანჰაი-ში. დღეს ჟურნალ-გაზეთების სალაპარაკოს ეს ამბავი შეადგენს და აგრეთვე გერმანიის წინადადება. ბევრნი კიდევ ეკითხებიან თავს, რა უნდა გააკეთოს ვალდერზეემ ჩინეთში, იომოს თუ ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკებას შეუდგეს? ომი გრაფ ვალდერზეეს ძალიან გაუჭირდება, რადგანაც საკმაო ჯარი არ დარჩება ამისათვის. საქმე ისაა, რომ ველა სახელმწიფო არა სტოვებს ჯარს …ეკინში და არ არის მოწადინებული ომის განგრძობას. რუსეთი უკვე შეუდგა ჯარის გაყვანას, მალე საფრანგეთიც გაიყვანს ჯარს, შეერთებული შტატების მთავრობაც ამასვე ჰფიქრობს. იაპონია თუმცა საჭიროდ სცნობს ჯარის დატოვებას, მაგრამ დიდი წინაამდეგია იმისა, რომ ომი გამოეცხადოს ჩინეთს. იაპონია, გაზეთების სიტყვით, საკმაოდ დამარცხებულად სცნობს ჩინეთს და მოლაპარაკებას არის მოწადინებული. ამ რიგად პეკინში დარჩება გერმანიისა, ინგლისისა, ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის ჯარი. ეს ჯარი-კი იმდენად მცირეა, რომ ფელდმარშალი ვერ გაჰბედავს ურიცხვ ჩინელებთან შებმას. არც გერმანიის წინადადებას ელირსა კარგი ბედი. თავის წინადადებაში გერმანია დამნაშავეთა დასჯასა თხოულობს. დამნაშავეთა შორის, უეჭველია, ქვრივი იმპერატრიცაც მოჰყვება. ხოლო, გავლენიან გაზეთების სიტყვით, იმპერატრიცის დასჯის წინაამდეგ არამც თუ ჩინელები, რუსეთიც იქნებაო. როგორც ვუწყით, იმპერატრიცა ყოველთვის რუსეთის მომხრე იყო, ამიტომ შეიძლება ახლა რუსეთმა გაუწიოს მფარველობა. ამის გამო გაზ. „Ind. Belge“ სწერს, რომ გერმანიის წინადადებით შესაძლებელია გერმანიასა და რუსეთს შორის უთანხმოება მოხდესო.

— პეტერბურგში მყოფ ჩინეთის საელჩოსთვის, ლიხუნგ-ჩანგს უცნობებია, რომ უკვე შეუდექით მოლაპარაკებას სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან იმ პირობათა გამოსარკვევად, რა პირობებითაც ომი უნდა იქმნას შეჩერებულიო. ლიხუნგ-ჩანგი აცხადებს თურმე, სრული იმედი მაქვს, რომ მოლაპარაკებას მცირე ხანში დავამთავრებთ და სახელმწიფოებს აუსრულებთ ყოველსავე კანონიერ მოთხოვნილებასაო.

— გაზეთ „Daily News“-ის საკუთარი კორესპონდენტი პეკინიდგან ატყობინებს: „რუსებმა აცნობეს დღეს ინგლისელებს, რომ ჩვენი ელჩი უკვე გავიდა პეკინიდგან და დღეს ჯარიც შეუდგება გასვლასაო. ასე გამოაცხადეს რუსებმა, მაგრამ დღეს ელჩი ჩემის თვალით ვნახე და ველაპარაკე კიდეც. ამას გარდა ალაყაფის კარებთან კაცები დავაყენე, თვალ-ყური დაეჭირათ, რუსეთის ჯარი მართლა წავა, თუ არა. როგორც ამ კაცებმა გადმომცეს, რუსეთის არც ერთს ჯარის-კაცს არ გაუვლია. მე ვფიქრობ, რომ რუსეთს სურდაც არ უნდა ჯარის გაყვანა, იგი მხოლოდ ძალას ატანს, აშინებს სახელმწიფოებს, ეგებ მოლაპარაკებას შეუდგნენ“.

— ერთ ნემეცურ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ გამოვიდა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც სატახტო ქალაქად სიანფუა გამოცხადებულიო. ბრძანებაში ნათქვამია, რომ იმპერატორი, ქვრივი იმპერატრიცა და კარის-კაცნი მალე გადასახლდებიან ახალ სატახტო ქალაქში. იგი იმითია კარგი, რომ მოშორებულია იმ ადგილებს, სადაც ევროპიელებს გავლენა აქვთო.

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ვუწყით, ტრანსვაალის პრეზიდენტი კრიუგერი სამხრეთ აფრიკიდგან ევროპაში ჰოლანდიის სამხედრო გემით მიდის. ამ ამბავს ინგლისელები და ინგლისური ჟურნალ-გაზეთები ძალიან გაუბრაზებია; როგორ უთმობს გემს ჰოლანდიაო, ამბობენ ისინი. გაზეთი „Stand.“-ი სწერს: „ჰოლანდიის მთავრობამ სისაძაგლე ჩაიდინა, რადგანაც თავისი სამხედრო გემი კრიუგერს დაუთმო სამოგზაუროდ ინგლისის დაუკითხავად, იმის ნება-დაურთველად“. ასევე სწერენ სხვა გაზეთებიც, მაგრამ ჰოლანდიას ინგლისისა არ ეშინიან. იგი დიდ მზადებასაც-კი შეუდგა კრიუგერის დასახვედრად. კრიუგერს ბლისინგენში დახვდებიან, სადაც ამ ჟამად სდგამენ კრიუგერის დიდ ძეგლს. ამას გარდა შესდგა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც კრიუგერის პატივსაცემად დღესასწაულებს გაუმართავს მთელს ჰოლანდიაში.

— „Nev. Fr. Presse“-ს ატყობინებენ ბრიუსელიდგან: ჰოლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ მიჰმართა საფრანგეთის მთავრობას და სთხოვა გამოესარჩლოს ტრანსვაალსაო.

— უცნაურს ამბებს სწერენ ნემეცური გაზეთები აწ გარდაცვლილის გენერალის ჟუბერის შესახებ. ამბობენ, მაგალითად, რომ ჟუბერმა თავი მოიწამლაო. ამ გაზეთის სიტყვით, ჟუბერმა უდალატა ბურებს, მაგრამ შემდეგ შეეშინდა, დალატი არ გამიგონო და შხამი დალია. ტრანსვაალში ეს ამბავი საიდუმლოდ აღარავისთვის შეადგენს.

---

## ბიბლიოგრაფია

—

რედაქციამ მიიღო ახალი, მეოთხე გამოცემა სალიტერატურო საღამოებსა და დივერტისმენტებზედ სახმარებლად ვ. აბაშიძის მიერ შედგენილი წიგნი „ჩანგი“, რომელიც ამ ბოლოს დროს გასასყიდად სრულიად აღარ იშოვებოდა. როგორც წიგნის დანიშნულებაც ამტკიცებს, აქ უნდა იყოს შეკრებილი ყოველივე, რაც-კი ყურადღების ღირსი და უმჯობესია ჩვენს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში და საღამოებსა და დივერტისმენტებზედ სახმარებლად გამოდგება. მართლაც, უმეტესი ნაწილი წიგნისა, გარდა ზოგიერთა ლექსისა, საკმაოდ კარგად არის შერჩეული, რომ აღნიშნულს შემთხვევებში კაცს შეეძლოს ერთი წიგნითაც იგივ ხელთ ჰქონდეს, რაც მრავალს სხვა-და-სხვა გამოცემაშია გაფანტული. აი, სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ქართველი საზოგადოება თავიდგანვე დიდის თანაგრძნობით მიეგება და მოკლე ხნის განმავლობაში წიგნი სამჯერ გამოიცა. დღეს კი აგერ ჩვენ წინ მეოთხე და ახალი, შევსებული გამოცემაა. როგორც მოსალოდნელიც იყო, შემდგენელი ცდილა წიგნის შინაარსი გაესხვაფერებინა, შეევსო და, თუ საჭიროება მოითხოვდა, უვარგისი მასალა გამოეტოვებინა. ამ მხრივ დიდად განსხვავდება ძველი გამოცემისაგან იმითი, რომ წიგნს ჩართული აქვს რამდენიმე, საზოგადოების მიერ უკვე შეყვარებული, დრამატიული ნაწარმოები, როგორც მაგალითად: „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა, „და-ძმა“ ვ. გუნიასი, „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რ. ერისთავისა, „დაკეტილ კარებთან“, შეშლილის წერილები“ გოგოლისა“ და „ავაზაკები“ შილლერისა. სცენებში ჩაურთავს „ოჰპანეზას ნადირობა“ ა. ახნაზაროვისა, „რა მასმევს ღვინოს?“ მისივე და სხ. ყველა ეს ცვლილება ახალს გამოცემას უფრო საყურადღებოდა ჰხდის და, ადრევე ვიცით, წიგნი მალე ხელ-ახლად გამოსაცემი იქმნება. აი, ამ შემთხვევისათვის ვაფრთხილებთ შემდგენელს, რომ ასეთი წიგნის შედგენა ახლა ბევრად უმჯობესად შეიძლება, რადგანაც მწერლობამაც ბევრი რამ შეიძინა მას შემდეგ, რაც ეს წიგნი პირველად გამოიცა და გამოცდილება და დაკვირვება აჩვენებდა, თუ ხალხს რა უფრო მოსწონს, რას უფრო ესწრაფვის იგი. გარდა ამისა, გავაფრთხილებთ აგრეთვე, რომ შეუფერებელს მასალას შემდეგში ადგილი აღარ მისცეს და სრულიად გამოსტოვოს. ეს ახალი გამოცემა 518 გვერდს შეიცავს და ღირს მანეთად. გამოცემა საკმაოდ სუფთაა და კარგს ქაღალდზედ დაბეჭდილი, მაგრამ, როგორც საზოგადოდა სჩვევია პროვინციის გამოცემებს, კორრექტურა დიდადა ჰკოჭლობს და ეს-კი მეტად დიდი ნაკლია.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად კონხინხინაში ერთ სკოლაში ანამიტთა ბავშვებისათვის მასწავლებელს უკითხნია: „რად ამჯობინებთ, რომ იყოთ, მამაკაცად თუ დედაკაცადაო“? სკოლაში ორმოცი მოსწავლე ყოფილა. ამათგან 39 ბავშვსსრული კმაყოფილება განუცხადებია იმისა, რომ კაცები არიან და არა ქალები: მამაკაცი ღონიერია,—უთქვამთ,—თავისუფალი, შეუძლიან, სადაც უნდა, იქ წავიდეს, რაც უნდა ის გააკეთოს, ისეირნოს დღე და ღამ, დაესწროს წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვათ. მხოლოდ ერთ ბავშს დაუწყევლია

---

…რდება იმისდა მიხედვით, რამდენად კაცი წლოვანობაში შედის. ამ აზრს სტატისტიკური ცნობები ამტკიცებს, რომლებიც მოჰყავს დიურკგეიმს თავისს თხუზულებაში.

სწავლულების მომეტებული ნაწილი უარს ყოფენ აგრეთვე ლომბროზოს და ფერრის თეორიას—კოსმოლოგიურ ფაქტორების (ჰავა, წელიწადის დრო, ტემპერატურა) ზედგავლენას თვით მკვლელობაზედ. ამ მოვლენების ზედ-გავლენის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის გვეთქმის, რომ ამ გარემოებათა აქვს, რასაკვირველია, მნიშვნელობა; ესეც,ასე თუ ისე ხელს უწყობს თვით-მკვლელობას, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ იგი მოკლებულია იმ ძალას, რომელსაც ეს სწავლულები აწერენ... *) მაშ რა უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი თვით-მკვლელობისა?

თანამედროვე ცნობილნი სწავლულნი თვითმკვლელობის მიზეზად სოციალურ მოვლენებსა ჰსახავენ.

წინადაც იყო თვით-მკვლელობა არამც თუ განათლებულ ხალხთა შორის, ველურ და პირველ-ყოფილ თემებშიაც. მაგრამ იქ თვით-მკვლელობა ირ იყო თავისუფალი მოქმედება პიროვნებისა; ის იყო მოხოლოდ მოვალეობა საზოგადოების წინაშე. ძველ და პირველყოფილ ხალხებში თვით-მკვლელობა იყო სამ რიგი: 1) თვით-მკვლელობა სიბერისა და ავადმყოფობისა გამო; 2) თვით-მკვლელობა ქალისა ქმრის გარდაცვალებისა გამო და 3) თვით-მკვლელობა მონისა ბატონის სიკვდილისა გამო... ამ ნაირად წინად კაცი იკლავდა თავს მოვალეობისათვის; მას, შეიძლება, არა ჰსურდა სხვისთვის თავი შეეწირნა; შეიძლება გულში სწყევლიდა საზოგადოების ასეთს მოთხოვნილებას, მაგრამ მაშინ ასეთს საზოგადო რწმენისა და მოთხოვნილების წინაამდეგ პიროვნების პროტესტი უნაყოფო იყო. ან რა პროტესტი შეეძლო ქალსა და მონას, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ მაშინ ყოველისავე უფლებას და პიროვნებადაც არ ითვლებოდნენ?

ჯერ ეხლაც, როდესაც ადამიანის პიროვნება მაღლაა დაყენებული; როდესაც მისნი უფლებანი შესამჩნევათ გაფართოვდა, როდესაც ქალს მამაკაცის ქინის მოსაკლავ საგნად არა სთვლიან; როდესაც კარგა ხანია გაისმა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, ე. ი. გაუქმდა მონობა,—ვიმეორებ, ჯერ ეხლაც საზოგადოება იძულებულ ჰყოფს პიროვნებას თავი მოიკლას... მართალია, საზოგადოება de jure ძალას არ ატანს ინდივიდუმს სიცოცხლე მოისპოს, მაგრამ de facto-კი იძულებულს ჰყოფს საზოგადოებას გამოაკლდეს თავისსავე ხელით. საზოგადოება, როგორც ორგანიზმი, ფსიხოლოგიურად უფრო გვიან ვითარდება, ვიდრე ინდივიდუმი, და აი აქ, ამ უსწორ-მასწორობაში, იმალება უმთავრესი მიზეზი იმ განხეთქილებისა, რომელიც ინდივიდუმს ძალა-უნებურად აძევებს საზოგადოებიდგან.

თუ ინდივიდუმს არა სურს ან არ შეუძლიან უარ-ჰყოს თავისს „მე“-ს მოთხოვნილებანი და რწმენანი, თუ ძალა ამ „მე“-სი ნებას არ აძლევს საზოგადოს ერთ უსახელო წევრთაგანად გარდაიქცეს, მაშინ, სულიერის ბრძოლის შემდეგ, თვით-მკვლელობა მისთვის აუცილებელია.

ხან-და-ხან ეს თვით-მკვლელობა ზნეობრივია და არა ფიზიკური: ადამიანი იძულებულია უარ-ჰყოს თავის მიმართულება, რწმენა; იძულებულია ქედი მოიხაროს საზოგადოებისა და მისი ჩვეულება-ადათის წინაშე და ცხოვრების მიმდინარეობაში ანონიმად (უსახელოდ) გარდაიქცეს; იგი იძულებულია საზოგადოების ელფერი მიიღოს, მისის რწმენა-იდეალებით იხელმძღვანელოს.

რასაკვირველია, თავდაპირველად ინდივიდუმსა და საზოგადოებათა შორის ბრძოლა იმართება; ეს ბრძოლა რამდენსამე ხანს შემდეგ ბოლოვდება მშვიდობიანობით, ჰარმონიით, მაგრამ ეს მშვიდობიანობა იგივ სიკვდილია; ეს ჰარმონია—პიროვნების სამართლიანი წინაამდეგობაა, მისი შეწყვეტაა, ჩაჩუმებაა.

პირველ რევოლიუციამდე თვით-მკვლელობა საფრანგეთში დანაშაულობად მიაჩნდათ: ასეთ თვალით უცქეროდა მას მარტო კათოლიკეთა ეკკლესია-კი არა, იურიდიული კანონ-მდებლობაც. თვით მკვლელის ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ რჩებოდა. თვით-მკვლელი აზნაურის მემკვიდრეებს აზნაურობის ღირსება ერთმეოდა და სხ. და სხ.

1789 წ. რევოლიუციამ უარ-ჰყო ასეთი სასტიკი კანონი, თუმცა საზოგადოება ისევ ისე უყურებდა თვით-მკვლელობას, როგორც დანაშაულს. 1823 წლამდე საფრანგეთში შეურაცხყოფას აყენებდნენ და დასცინოდნენ თავის-მკვლელის გვამს, და მხოლოდ 1870 წ. იურიდიულად ნება ეძლევა კაცს სიცოხლე მოისპოს თავისისავე ხელით. ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და შეერთებულ შტატებში თვით-მკვლელობა დღემდე დანაშაულად ითვლება.

საზოგადოება თავის წეს-წყობილებით უნდა ჩაითვალოს უმთავრეს მიზეზად ინდივიდუალურ თვით-მკვლელობისა და საზოგადოებავე სჯის ინდივიდუმს თვით-მკვლელობისათვის!..

რაც უნდა იყოს, თვით-მკვლელობა ანომალია, ავადმყოფობაა. ჩვენ დავინახეთ, რომ ის მარტო სულიერი ავადმყოფობა-კი არ არის, მომეტებულად სოციალური ავადმყოფობაა.

მაშ მისგან განსაკუთრებული საშველება ჩვენ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც მისი შთანასახია დამალული, ე. ი. საზოგადოების წეს-წყობილებაში. პირველი საშუალება მის საწინაამდეგოდ, რასაკვირველია, აღზრდაა: განვითარება ნებისა, ხასიათისა, მხნეობისა შესძლებს ამ სენის შესუსტებას, მაგრამ მთლად მისგან მორჩენა არ ძალ-უძს. აღზრდა, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოების გამონაშუქია. მხოლოდ ჯან-საღს საზოგადოებას შეუძლიან საღად აღზარდოს ახალი თაობა...

იპ. ვართაგავა

---

*) იპპოლიტე ბლანკა სტატისტიკურად სცდილობს დაამტკიცოს ის აზრი, რომ რიცხვი თვით-მკვლელობისა სხვა-და-სხვა დროს და თვეს სხვა-და-სხვაა და ეს სხვა-და-სხვაობა განსაცვიფრებელის სისწორით და თითქმის უცვლელად მეორდება ყოველ წელს. აი მისგან გამოანგარიშებული ციფრები თვით-მკვლელობისა საფრანგეთში 1854—58-ში:

| | ქალი. | კაცი. |
|---|---|---|
| იანვარში . . . . | 68 | 63 |
| თებერვალში . . . | 75 | 70 |
| მარტი . . . . . | 89 | 78 |
| აპრილი . . . . . | 94 | 93 |
| მაისი . . . . . | 96 | 92 |
| ივნისი . . . . . | 106 | 110 |
| ივლისი . . . . . | 99 | 106 |
| აგვისტო . . . . . | 82 | 89 |
| სექტემბერი . . . | 74 | 78 |
| ოქტომბერი . . . . | 77 | 99 |
| ნოემბერი . . . . | 61 | 68 |
| დეკემბერი . . . . | 62 | 60 |

თავისი ბედი და ქალობა უნატრია. ამ პავშვს უთქვამს: „მე მინდა ქალი ვიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გუბერნატორს მივთხოვდებოდი ცოლად და მეორე—სიბერის დროს დედ-მამას მოუვლიდი; მესამე —ქალი რომ ვყოფილიყავ, ამდენს აღარ მამუშავებდნენ, ძნელ საქმეს არ გამაკეთებინებდნენ, წვიმასა და ტალახში არ ვივლიდი, მაშინ შინ დარჩენა შემეძლებოდა, თავის დროზედ დავიძინებდი, აბრეშუმის საბანს დავიხურავდი, ყველა პატივით მომეპყრობოდა, მაშინ ბევრი ტანისამოსი და ძვირფასი ნივთები მექნებოდა, როდესაც მომწყინდებოდა, ქმარი გამამხიარულებდაო“.

***

ფრანგულ გაზეთებში ამ ჟამად ძალიან ბევრსა სწერენ იმის შესახებ, თუ შესანიშნავმა სათეატრო კრიტიკოსმა, უკვე განსვენებულმა ფრანსისკ სარსემ რატო არ მიიღო საპატიო ლეგიონის ორდენი. 1882 წ. საერო განათლების მინისტრად იყო სარსეს კარგი მეგობარი და სასკოლო ამხანაგი დიუო. მინისტრის პორტფელის მიღებისათანავე დიუვომ გადასწყვიტა თავისს ამხანაგის დაჯილდოვება ორდენით. ესევე განიზრახა შინაგან საქმეთა მინისტრმა, სენატის დღევანდელმა პრეზიდენტმა ფალიერმა. ორივემ ერთსა და იმავე დროს წარუდგინეს მინისტრთა საბჭოს მოხსენებანი სარსეს ორდენით დაჯილდოვების შესახებ. ორივეს უნდოდა პატივი ეცა სარსესათვის, ამიტომ თვითეული მათგანი სცდილობდა, ორდენი იმისგან მიეღო სარსეს. მინისტრთა საბჭო დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. არ იცოდა, ვისთვის მიენდო დაჯილდოვება. ბოლოს საბჭომ, რათა მინისტრებისათვის არ ეწყენინებინა, ორივეს უარი გამოუცხადა, და სარსემ ორდენი ვეღარ მიიღო.

***

გერმანიის უნივერსიტეტებში შესვლა ქალებისათვის ეხლა ისე ძნელი აღარ არის, როგორც წინად იყო; ამ ჟამად იქ სულ 618 ქალი ისმენს ლექციებს, ამათგან 9 ნამდვილი სტუდენტია, ხოლო დანარჩენნი— თავისუფალი ყურისმგდებელნი. მარტო ბერლინის უნივერსიტეტში 293 ქალია, ბონნისაში—61, გალლესაში—47, ბრესლავის—41, გეტინგენის—31, ლეიპციგის— 27, გისენის—16, კენისბერგის—15, ვიურცბურგის—15, მიუნჰენის—11, სტრასბურგის—11, კილლის—8, მარბურგის—8, ტიუბინგენის—5, ერლანგენის—2 და როსტაკის უნივერსიტეტში—2.

უფრო მეტი ქალი სწავლობს შვეიცარიის უნივერსიტეტებში. იქ ამ ჟამად 626 ქალია, თავისუფალი ყურის-მგდებელი ამათგან მხოლოდ 182-ია, დანარჩენნი სტუდენტები არიან. ჟენევის უნივერსიტეტში 187 სტუდენტი ქალია, ბერნის—186, ციურიხის—174, ლოზანის—74 და ბაზელის უნივერსიტეტშიაც 8 სტუდენტი ქალი. მკურნალობას სწავლობს 392 ქალი, ფილოსოფიას—224, იურისპრუდენციას—8. ამ ქალთაგან შვეიცარიელი მხოლოდ 82-ია, დანარჩენნი უცხო-ქვეყნელნი არიან, უფრო-კი რუსეთის ქვეშევრდომნი, სახელდობრ 424, ნემენცი—50, ბოლგარელი— 19 და ავსტრიელი—17.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 სექტემბერი

**პეტერბურგი.** 11 სექტემბერს გენერალი რენნენკამფი 200 ჯარის-კაცით გირინში მივიდა. გენერალმა გამოაცხადა, რომ ქალაქი დაჭერილიაო. რენნენკამპფი ძიან-ძიუნის სასახლეში ჩამოხტა. გირინში ყოფნა საშიში არ არის; ჯარი უიარაღოა. გენერალმა ავგუსტოვმა უბრძანა კრიჟანოვსკის ცხენოსანთა რაზმს, გირინისაკენ გაეშუროს.

**პეკინი.** იმ ჩინელს, რომელსაც გერმანიის ელჩის მოკვლის ბრალი ედება, სამხედრო სასამართლომ გუშინ ჩამოართვა ჩვენება. რადგანაც ახალი არაფერი აღმოჩნდა, ამიტომ განაჩენის გამოცხადება გადასდეს იმ იმედით, რომ ახალ ცნობებს მოჰკრეფავენ ნამდვილის მკვლელის შესახებ.

იაპონიის გენერალი ფუკიშიმა ტაკუდგან პეკინში დაბრუნდა.

საპოლიტიკო საქმეთა დირექტორი უჩიდა ტოკიოდგან აქ დაბრუნდა დეპეშებითურთ.

გერმანიის საელჩო აქ რჩება ინსტრუქციების მიღებამდე.

ლიხუნგ-ჩანგს ერთის კვირის შემდეგ მოელიან.

უცხო-ქვეყნელთა საელჩოებმა მიჰმართეს პრინც ცინს ნოტით, რომელშიაც ურჩევენ იმპერატორსა და იმის კარის-კაცებს პეკინში დაბრუნებას. ეს ნოტები ოფიციალური არ არის. ნოტების ავტორნი თავისს კერძო საქმედ სთვლიან ამას და მთავრობათ არავითარი კავშირი არა აქვთ. დიპლომატები ერთად და თანხმობით მოქმედებდნენ, მაგრამ ყველამ ცალკე გაგზავნა ნოტა. დაპირებით არაფერს ჰპირდებიან ნოტაში, მხოლოდ დაბრუნებას ურჩევენ. ცინმა იკისრა ამ წერილების გადაცემა. დანამდვილებით ვერაფერს იტყვის კაცი, რა შედეგი მოჰყვება ელჩების რჩევას, რადგანაც ტუანისა და ტუნფუძიანის გავლენის წყალობით შეიძლება იმპერატორი არ დაბრუნდეს პეკინში.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრო სცდილობს, რომ ჩინეთი არ იქმნეს დანაწილებული, მაგრამ ამავ დროს საჭიროდ სცნობს დღევანდელს პირობებში მოსთხოვოს სახელმწიფოთ, რომელნიც-კი ჩინეთში ადგილს შეიძენენ, რომ მომავალშიაც დაცულ იქმნენ ამერიკის სავაჭრო უფლებანი.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით პრეტორიიდგან, რომ ინგლისელებმა გეილბრონი, ლინდელი და რეიცი ხელ-ახლად დაიჭირეს. ბურების რაზმი პინაროს სადგურს თავს დაესხა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნაო.

**პსკოვი.** გამოფენაზედ გუბერნიის სოფლის მემამულეთა კრება მოხდება, რომლის პროგრამმაც მეურნეობის ყოველგვარს დარგს შეიცავს. კრება 20 სექტემბერს დაიხურება.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ ნიუ-იორკში გამოქვეყნებული დეპეშა სალისბიურის პასუხის შესახებ, რომელიც ვითომ გერმანიის ნოტამ გამოიწვია, ტყუილიაო. ინგლისს იმ დრომდის ვერ მისცემენ პასუხს, სანამ პეკინში მყოფ ინგლისის საელჩოსაგან ახალი ცნობები არ იქმნება მიღებულიო.

16 სექტემბერი

**პიატიგორსკი.** სამკურნალო სეზონი დღეს დამთავრდა.

**სოფია.** სპარსეთის შაჰი აქ მოვიდა. დახვდნენ: მთავარი ფერდინანდი, მინისტრები და სადიპლომატო კორპუსი.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ჯარის მთავარ-სარდალი ფილიპინის კუნძულებზედ იუწყება, რომ კაპიტანი შილდსი და 51 კაცი, რომელნიც სანტა-კრუციდგან ტორრიოსში წავიდნენ, უკვალოდ დაიკარგნენო. ჰფიქრობენ, რომ ფილიპინელებმა წაიყვანეს ტყვედ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტემბერი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ...ხი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 214½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | 88¼ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 96½ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 95½ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | 86 „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 96 „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 86½ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 282 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 214½ |

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(დასასრული *)

ც

ციატი—ღია ფერი.

ცერული—ცეკვის დროს ცერებზედ დგომა.

ძ

ძოძგინი—ჟრჟოლვა.

ძგლამა-ძგლუმი—უმგვანი ჭამა (მაგ. ღორის ჭამა)

ძოვარა—ავადმყვ. პირუტყვ. აუტეხს ფხანას კუდში, ან ფაფარში და ძუა-ფაფარს გააყრევინებს,

წ

წინ-ნალი—წინა ნაწილი ცხოველთა.

წბოლი—ჩირქი, ბალღამი. (იმერ)

წიწამური—წრიაპი (რკინის ფეხსაცმელი მთებში სასიარულოდ) (იმერ)

წრიპა—პატარა ჩიტია (მგონი, ნიბლიაა) (იმერ.)

წუპაკი—სულ-მდაბალი, უნამუსო.

ჭ

ჭანი—ნახევრად დასაჭურისებული პირუტყვ.

ჭევლი—პურის ხელაურები, ჰეო-ჰეოდ დაწყობილი.

ჭიჭილა—პატარა ლიტრა (ზაფხულში ღვინის სასმისი)

ჭიუტი—ფრინველია შაშვის ოდენა, ტბა უყვარს, ნისკარტი და ფეხები გრძელი აქვს, ხორცი მსუქანი და გემრიელია (იმერ.

ჭიტლაყი—პანჩური (ქართ.)

ჭრომახი—ეჟვანა, ვეფხვივით ჭრელი ფერი. (პირუტყვზედ იტყვიან)

ჭიჭინა—რქიან პირ. ავადმყოფობაა; როგორც ავათ გახდება, მაშინვე ჰკვდება.

ჭიჭინობელა—ჭრიჭინა (იმერ.)

ხ

ხაო—პირ. ავადმყოფ. პირში დაჰყრის ეკლებსავით; უნდა მოიჭრას.

ხავრეზი—ხნულში დაუხნავად დარჩენილი მიწა.

ხმელი-მველი—იგივეა პირუტყვთათვის, რაც მაჯლაჯუნა ადამიანთათვის.

ხოტვრა—ბანლის ძირში პარსვა.

ხოტრავი—ავად-მყოფ. ბანლის ცვივნა იცის.

ხრიკა—ორშიმო (ქვემო იმერ.)

ხუება—უკადრისობა, წყენა, ჯიუტობა.

ხუზარა—პირუტყვ. ავადმყოფ. გადამდებია და არც ეკიმობა შველის (ციმბირის სენი ხომ არაა)!

ჯ

ჯანაბირი—ბზისა, ან ფუჩეჩის საზიდავი დიდი ძარი.

ჯიდაო—ავადმყოფ. ცხენისა. ნიდაო დაუსივდება და დაუჩირქდება; ძნელი მოსარჩენი სენია, კიდეც რომ მორჩეს, ნახევარ ცხენობასა ჰკარგავს.

ჯარჯი—ეკლიან ჩირგვებისაგან შეკრული კონა.

ჯაურა—თივის ზვინი (ქართ.)

ჯღა—კაპებიანი ხე მარანში, გინდ სა) ჯალაბოში, რომ ზედ რამე ჩამოჰკიდონ.

ნ. ა.

*) იხ. „ივერია“ № 201-ი.


გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ლოცვები** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა** მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 18 სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა კობის ქუჩის მოკირწყვლის საქმე, ქალაქის პირველ ნაწილში. სულ მოსაკირწყლია 123,01 საჟ., სამუშაო 1087 მან. 90 კაპეიკისა.

მსურველს პირობანი შეუძლიან გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯოს ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა 9-დგან 3 საათამდე.

(3—5.—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ცეიმოლის საპონი

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—22)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**„ი. გოკიელოვის შვილები“**

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შემზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექმნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—7)

## უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ში

**„როსსია“-ში**

საზოგადოება „როსსია“ სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს კერძო კაცთ** ყოველ გვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უამპირობოდაც.

**აზღვევს მგზავრებს** რკინის გზებითა და ზღვითა და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს ერთობილად** ყოველ გვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს ერთობილად** ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევათაგან სასყიდელი **4.500,000** მან. მეტი.

—მსურველთ აგანცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველ გვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს. პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე **რკინის გზების** მთავარ-სადგურებზედა და გამ-ხომალდთა მთავარნავთ-სადგურებზედ. (6—149—6)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე